სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზია და რადიოს

დირექტორის საქმიანობის

ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი:

2022 წლის

მესამე კვარტალი

01/07/2022-30/09/2022

2022 წლის მესამე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის შეესაბამის ნორმების საფუძველზე, ისე რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელია.

<u>შესავალი</u>

წარმოგიდგენთ 2022 წლის მესამე კვარტალის (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიაზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

<u>ჩვენი წინასწარი დაგეგმვა</u>

2022 წლის მესამე კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო:

- ბიუჯეტით გათვალისწინებული დარჩენილი ტექნიკის შეძენა;
- სატელევიზო გადაცემა ბიზნესისა და ეკონომიკის შესახებ მომზადების თაობაზე შესაბამისი პროცედურების განხორციელება;
- არხის შეფუთვაზე მუშაობა;
- ახალი სეზონისათვის მზადება;

<u>კვარტლის მიღწევა</u>

საეთერო ბადეს დაემატა გადაცემა „გზამკვლევი - ნაზი ქობულაძესთან ერთად“, შეიქმნა დოკუმენტური ფილმების სტუდია, დოკუმენტური სტუდიის ეგიდით დაიგეგმა წლის განმავლობაში 44(ორმოცდაოთხი) დოკუმენტური ფილმის წარმოება. აქედან 40 (ორმოცი) ფილმი დამზადდება ტელევიზიის შიდა წარმოებით და 4(ოთხი) ფილმი გარე წარმოებით ანუ კონკურსით შემოსულ პროექტს დააფინანსებს აჭარის ტელევიზია. რადიოს მიმართულებით განახლდა თანამშრომლობა გარეწარმოების ხაზით შესასყიდი გადაცემების ავტორებთან, გადაცემებზე „ბათუმური დღიურები“ და“ ჩემი ალტერნატივა“, დაემატა რამდენიმე ახალი პროექტი. „ზურაბ გორგილაძის 100 ლექსი“ და „ კინო ბლოგი“ მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე ახალი პროექტის ჩასაშვებად,ახალი სეზონზე გადაცემები განახლებული, ახალი შეფუთვით წარსდგა მაყურებლის წინაშე. **გამოცხადებული აუქციონი იჯარასთან დაკავშირებით წარმატებით დასრულდა მხარემ აიღო ვალდებულება** უზრუნველყოს საიჯარო ქონების სარემონტო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ: ა) შენობის სახურავის მოწყობა იმგვარად, რომ შენობის შიდა სივრცეში შეკავებული იქნას წვიმის წყლის ჩადენა. შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. ბ) შიდა სივრცის იმგვარად მოწყობა, რომ შესაძლებელი იყოს კულტურული და სახელოვნებო ღონისძიებების გამართვა. გ) მეიჯარესთან შეთანხმებით (მათ შორის, ფართი, მდებარეობა, ვიზუალი) 3(სამი) სივრცის მოწყობა სტუდიური, სატელევიზიო გადაცემების გადაღების/ჩაწერის მიზნით, მათ შორის, სამზარეულოს მოწყობა (სამზარეულო აღჭურვილი უნდა იქნას ძირითადი და დამხმარე ხელსაწყოებით, შესაბამისი ინვენტარით) იმგვარად, რომ შესაძლებელი/შესაფერისი იყოს კულინარიული გადაცემის გადასაღებად. საიჯარო ფართში მოიჯარესთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს (ანაზღაურების გარეშე) მეიჯარის გადაცემების გადაღება/ჩაწერა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მეიჯარის გადაცემების გადაღება/ჩაწერისთვის.

2022 წლის მესამე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

2022 წლის მესამე კვარტლის ანგარიში

დირექტორი გიორგი კოხრეიძე

2022 წლის მესამე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

ქ.თბილისში იჯარით აღებულია ფართი მდებარე ქ. თბილისი, კოსტავას ქ. # 59(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.15.03.004.049, იჯარის საგნის ფართობია: 534.30 კვ.მ. სადაც განხორციელდება როგორც ბიუროს მოწყობა ასევე სხვადასხვა სახის გადაცემების ჩაწერა.

2022 წლის მესამე კვარტლის ანგარიში

დირექტორი გიორგი კოხრეიძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ და „შპს ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლიტიქალ ინსაით - BPI-თან მრჩეველთა საბჭოს შენიშვნების გათვალისწინებით გასაფორმებლად მომზადებულია ხელშეკრულება, ხელშეკრულების საგანია ბიზნესისა და ეკონომიკის თემატიკაზე საინფორმაციო- ანალიტიკური ყოველდღიური (შაბათ-კვირის გარდა) სატელევიზო გადაცემის მომზადება. გადაცემის ქრონომეტრაჟი შეადგენს 35-40 წუთს.

ქ. თბილისი, კოსტავას ქ. # 59 მულტიფუნქციური სტუდია ჩასაშვებად მზად იქნება რამოდენიმე დღეში.

<u>კვარტლის გამოწვევა</u>

„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

სააანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ორიენტირებული იყო კანონისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხებზე. ვცდილობდით გაგვეშუქებინა მთავარი გამოწვევები, აღნიშნული პერიოდი მაუწყებლის მიერ გამოყენებული იქნა რამოდინიმე სავარაუდო ახალი პროექტების მომზადების თვალსაზრისით.

ინტერნეტი-შედეგები:სამსახურის დებულების თანახმად, ვებგვერდზე და სოცქსელებში აიტვირთა ეთერში გასული გადაცემები, რომელიც შემოქმედებითი სამსახურის თანამშრომლებმა მოამზადეს ტელევიზიასა და რადიოში.

• ვიდეო მასალები დახარისხდა და აიტვირთა მაუწყებლის youtube არხზე;

• სოცქსლეებში გადაზიარდა გადაცემების ანონსები, საიმიჯო თუ საინფორმაციო ვიდეორგოლები;

• დამუშავდა, დახარისხდა და აიტვირთა მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომები;

	Page Name	Total Interactions
	Average Total	19,556.25
1	აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი	123,051
2	ერთი დღე სოფელში	80,484
3	მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri	42,637
4	დიდი შესვენება . Ajara TV	20,493
5	სპორტკლუბი / SportClub	19,237
6	დილის ტალღა / Dilis Talga	18,945
7	ჰეშთეგი / Hashtag	2,775
8	ვემსახურები საქართველოს	1,958
9	დილის რადიო	1,697
10	ART ექსპერტი / ART Expert	767
11	ZOOM განათლებაზე	446
12	ბუნების კანონი	240
13	ბიბლიოთეკა	88
14	თეთრი კვადრატი / White Quadrat	61
15	იმპულსი • Impulsi	21

მაუწყებლის მთავარი გვერდის შემდეგ, ყველაზე მაღალი ინტერაქცია (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები და მოწონებები) - „ერთი დღე სოფელში“ გვერდს ჰყავს. მესამე კვარტალია ლიდერობა არ დაუკარგავს. გვერდს 68,193 ფოლუერი ჰყავს (ბოლო სამ კვარდალში 10 ათასით გაიზარდა). ამ კვარტალში გადაცემის გვერდზე დადებულ ვიდეოებს 80 ათასზე მეტი ინტერაქცია ჰქონდა. რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. ვიდეოების ნახვები კი საერთო ჯამში 621,974 ათასს შეადგენს.

ინტერაქციის კუთხით მეორე ადგილი უჭირავს (მაუწყებლის გადაცემებს შორის) „მე ვარ ფერმერს“. გადაცემის აუდიტორია 71,339 მიმდევრამდეა გაზრდილი. გადაცემის ვიდეოების ნახვა რეკორდულად მაღალია - 1.40M . მილიონ 400 ათასი ნახვა მხოლოდ ფბ გვერდზე. რაც შეეხება ინტერაქციას 42 ათასი ემოცია და გაზიარება ჰქონდა გადაცემის მასალებს.

მესამე ადგილზე ინტერაქციის მიხედვით „დიდი შესვენებაა“... გვერდის მიმდევრების რაოდენობა 13 ათასამდე გაიზარდა, თუმცა გაცილებით მაღალია ინტერაქცია და ჩართულობა ფბ გვერდზე 20.493. ვიდეოების ნახვა - 693,255

მეოთხე ადგილზე გადავიდა სპორტკლუბი - რომელსაც ძალიან დიდი შედეგი აქვს. 19 ათასიანი ინტერაქცია ამ კვარტალში. ამ გვერდზე ვიდეოების ნახვის მაჩვენებელი 314,365-ია. გვერდი 9.500 ადამიანს აქვს გამოწერილი.

მეხუთე ადგილზეა „დილის ტალღა“... გადაცემას 34 ათასამდე ფოლოუერი ჰყავს, ინტერაქციამ კი ამ კვარტალში 19 ათასანდე შეადგინა. ვიდეოების ყურების მიხედვით კი, „მე ვარ ფერმერის“ შემდეგ მეორე ადგილს იჭერს 825,852.

გადაცემების რეიტინგებს დადებული ვიდეობის ნახვების მიხედვით. აღსანიშნავია არტ ექსპერტის მზარდი დინამიკა, მას მხოლოდ 2 300 მდე მიმდევარი ჰყავს.

სპორტკლუბის ამ პოსტს ყველაზე მეტი ნახვა ჰქონდა მაუწყებლის პოსტებს შორის. 223 ათასი ნახვა, საერთო ინტერაქცია (გვერდზე და გადაზიარებულ მასალებზე) 30 ათასი.

მეორე ადგილზე დიდი შესვენების (ჯერ კიდევ „ეს შუადღის“) ვიდეო. 154 ათასი ნახვა და 14 ათასამდე ინტერაქცია.

პოპულარული იყო „დიდი შესვენების“ გამოკითხვა - შიშველი ტურიზმი



აქტიური მაყურებელი ჰყავდა დინამო ბათუმის თამაშის პირდაპირ ეთერს

პოპულარულ ვიდეოებში მოხვდა ტრილოგია „ქალები ზღვაში“, რომელიც რეჟისორმა სალომე ხალვაშმა გადაიღო.

რაც შეეხება მაუწყებლის მთავარ გვერდს, ძირითადად ამ გვერდზე ახალი ამბები იდება. აუდიტორიის ინტერქაციისა და ჩართულობის კუთხით, საქართველოს მასშტაბით მე-20 პოზიციაზე ვართ. ახალი ამბების სექციაში გვისწრებს ბათუმელები, რომელიც ჩვენი უშუალო კონკურენტია. ამ მიმართულებით გასაძლიერებელია მუშაობა.

კვარტლის მონაცემებით, აჭარის მაუწყებლის მთავარ გვერდზე ადუიტორიის ჩართულობა 187 ათასია. ივლისის შემდეგ ჩართულობა იკლებს. მკვეთრი ვარდნა გადაცემების გაჩერების დროს ემთხვევა., შემდეგ ზრდა არის, თუმცა სამწუხაროდ მცირედი.



ვიდეოები ჩვენს გვერდზე მილიონ 100 ათასმა ნახა. ვიდეოების ნახვების უდიდესი წილი „სახალხო კონტროლის" ლაივებსა და მოჭრილ ვიდეოებზე მოდის. რაც შეეხება აუდიტორიის თვალსაწიერში მოხვედრას (ე.წ. რიჩს) ის ფბ მთვლელის მონაცემებით, 2 მილიონს სცდება.



ამ კვარტალში გაიზრადა მიმდევრების რაოდენობა 1200 და 20 ათას გამომწერს გადავცდით. გასულ კვარტალში მაუწყებლის ვიდეოების ნახვების საერთო ჯამი 465 704 იყო. ყველაზე ნახვადი ვიდეოები იუთუბის არხზე „სახალხო კონტროლის“ გადაცემებია, ასევე, „ვემსახურები საქართველოს“ და „მე ვარ ფერმერი“.

ახალი ამბების სამსახურში მესამე კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები, ახალი სეზონიდან განახლდა დილის 10 (ათი) საათიანი საინფორმაციო გამოშვება, რომელშიც ძირითადად მოცემულია გასული ღამის ახალი ამბები და დღის განმავლობაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ამბების ანონსი. ასევე საეთერო ბადეში ჩაეშვა გადაცემა ,,გზამკვლევი“. რომელიც ყოველ პარასკევს მაყურებელს დეტალურ ინფორმაციას აწვდის რეგიონსა და მუნიციპალიტეტებში არსებულ პროგრამებთან დაკავშირებით. კომპეტენტური სტუმრები პირდაპირ ეთერში განმარტავენ, როგორ უნდა შეძლოს მოქალაქემ ამა თუ იმ პროგრამით სარგებლობა. კვლავ აქტუალურია მსოფლიოში არსებული ვითარება რუსეთ უკრაინის ომი. შესაბამისად ახალი ამბების სამსახური აღნიშნული მიმართულებით მუშაობს განსაკუთრებულ რეჟიმში. ევროკავშირში მისაღებ კითხვართან დაკავშირებით გამართულ აქტივობებს ვაშუქებთ მაქსიმალურად აქტიურად, საღამოს 20(ოცი) საათიან გამოშვებაში სტუმრებთან ერთად. მიმდინარე პერიოდში ყველაზე აქტუალური საკითხი მოსმენების კანონი და სახალხო დამცველის არჩევნებია, რომლებთან დაკავშირებითაც აქტივობები ძირითადად დედაქალაქში მიმდინარეობს და მას ოპერატიულად და მაქსიმალურად სრულფასოვნად აშუქებს აღნიშნული ბიურო. აჭარის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე მოვლენები შუქდება ყოველდღიურად. ტექნიკური განახლების შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა ხულო-შუახევის ბიუროსთვის გადაგვეცა პირდაპირი ჩართვის აპარატი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ოპერატიულობის ხარისხი. რეპორტიორები და ოპერატორები მონაწილეობდნენ მედიატურებში, რომლებიც ასევე რეპორტაჟისა და პირდაპირი ჩართვების სახით გადაიცემოდა ჩვენს ეთერში. ახალი ამბების რეპორტიორმა და ოპერატორმა მონაწილეობა მიიღო მედიასწავლებაში „ღირსეული პასუხი 2022“ სენაკში, II ქვეითი ბრიგადის ბაზაზე. ორი გადამღები ჯგუფი აშუქებდა სენაკში საკრებულოს შუალედურ არჩევნებს 1, 2 ოქტომბერს. ახალი ამბების ობიექტივს მიღმა არ

დარჩენილა არც ერთი აქტივობა, როგორც პოლიტიკური ასევე სოციალური თუ კულტურული. აღნიშნულ პერიოდში ახალი ამბების რეპორტიორები სხვადასხვა პერიოდულობით მონაწილეობდნენ ბათუმსა და მის ფარგლებს მიღმა გამართულ ტრენიგ-სემინარებსა და მედიატურებში. წლის ამ პერიოდშიც, გრძელდებოდა თანამშრომლობა ამერიკის ხმასთან.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2022 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაფორმდა საინფორმაციო სააგენტო “Reuters”-თან 2 (ორი) წლიანი ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება;
- საავტორო გადაცემებისა და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;

- ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ-პლატფორმაზე მიწოდება, კომუნიკაციის მარეგულირებელ კომისიას, მაქთისატს, სილქნეტს პროგრამის დამუშავება-მიწოდება;
- ბრენდირებული ნივთების შეძენა: მიკროფონის ბრენდირებული ღრუბლები; ბეიჯები/ტურნიკეტის ბარათები; ლაითბოქსის ფირი; სტიკერები.
- ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; მოქალაქეთა შემოსული განცხადებების შესაბამისი მიხედვით რგოლის დამზადება-განთავსება;
- 7 (შვიდი) კომპანიის კომერციული მომსახურება, შემოსული თანხა შეადგენს 16 593 ლარს;
- მონიტორინგის სამსახურისთვის, მოთხოვნისამებრ, გადაცემების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;

დანართი N2: პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი;

<u>რადიო-შედეგები და საჭიროებები;</u>

2022 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, მიმდინარე სააანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები: დასრულდა 21-22 წლის სეზონი. გადაცემების შვებულებაში გასვლის შედეგად დატოვებული ლუფტი შეივსო გარეწარმოების გზით შესყიდული მასალების და რადიო აჭარის საარქივო გადაცემების მეშვეობით. საეთერო ბადეში განთავსდა ისეთი გადაცემები, როგორიცაა: სინემა, ჩემი ალტერნატივა, ეფემ -ფანტაზია. რუბრიკები: დაუსრულებელი პლეილისტი. რადიო თეატრი. არტ ფაილი. რადიო ბაქანი. განძი ხელთუქმნელი და სხვა ახალი სეზონის დაწყებამდე ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. გადახალისდა მიმდინარე გადაცემების თემები, რუბრიკები და ხედვები. ხელი მოეწერა და განახლდა თანამშრომლობა გარეწარმოების ხაზით შესასყიდი გადაცემების ავტორებთან, გადაცემებზე „ბათუმური დღიურები“ და“ ჩემი ალტერნატივა“ დაემატა რამდენიმე ახალი პროექტი. „ზურაბ გორგილაძის 100 ლექსი“ და „ კინო ბლოგი“ მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე ახალი პროექტის ჩასაშვებად დაემატა შემეცნებით გასართობი პროგრამების ორი წამყვანი და ერთი ხმის ოპერატორი, რამაც საგრძნობლად შეამსუბუქა მიმდინარე პროცესი აქტიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია მსმენელებთან სოციალური ქსელის

მეშვეობით. ეს პროცესი გვეხმარება როგოც დადებითი, ასევე უარყოფითი, გამოსასწორებელი მხარეების დადგენაში.

დანართი N3: რადიოს პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურმა მესამე კვარტალში გადაცემები აწარმოეს შეუფერხებლად. აგვისტოს თვეში შეჩერდა გადაცემების წარმოება და შემოქმედებითმა ჯგუფებმა დაიწყეს გადაცემების განახლება ახალი სეზონისთვის. განხორციელდა მივლინებები, გადაცემებისთვის მასალის მოპოვების მიზნით ქვეყნის მაშტაბით. ასევე საზღვარგარეთ მივლინებით იმყოფებოდნენ შემდეგი პროექტების შემოქმედებითი ჯგუფები - გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ იმყოფებოდა თურქეთში, გადაცემა „თეთრი კვადრატი“ იმყოფებოდა სომხეთში და პოლონეთში. მომზადდა და განთავსდა საეთერო ბადეში დოკუმენტური ფილმები. მესამე კვარტალში დაიგეგმა და განხორციელდა გადაცემა „გზამკვლევი - ნაზი ქობულაძესთან ერთად“ ახალი სეზონისთვის განახლდა და შეიფუთა ტელევიზიის საინფორმაციო და შემოქმედებითი გადაცემების უმრავლესობა. დამზადდა ახალი ტიხრები, გამოიცვალა ანონსების შეფუთვა, სრულად შეიცვალა საინფორმაციოს შეფუთვა. პრომო, ქუდი და საინფორმაციოს ტიხრები. მთლიანად შეიფუთა არხზე პოლიტიკური თოქ-შოუები. შეიფუთა პრომოებით და ქუდებით საავტორო შემოქმედებითი გადაცემების უმრავლესობა. წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით, განახლდა ის გადაცემები რომელთა განახლებაც აუცილებელი იყო. ახალი სეზონისთვის დაიგეგმა და დამზადების პროცესშია ამინდის პროგნოზზე, ცალკე დამოუკიდებელი გადაცემის მომზადება. ასევე ჩატარდა შიდა კონკურსი ევროინტეგრაციის თემაზე, სადაც შემოსული განაცხადები და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ დამზადდება ახალი გადაცემა. შეიქმნა დოკუმენტური ფილმების სტუდია, დოკუმენტური სტუდიის ეგიდით დაიგეგმა წლის განმავლობაში 44(ორმოცდაოთხი) დოკუმენტური ფილმის წარმოება. აქედან 40 (ორმოცი) ფილმი უნდა დამზადდეს ტელევიზიის შიდა წარმოებით და 4(ოთხი) ფილმი გარე წარმოებით ანუ კონკურსით შემოსულ პროექტს დააფინანსებს აჭარის ტელევიზია. აჭარის ტელევიზიის არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი წარმოება იგეგმება დოკუმენტური ფილმების მხრივ, დღემდე მაქსიმუმ დოკუმენტური ფილმები წლის განმავლობაში 20 ფილმს არ აღემატებოდა.

<u>**იურიდიული მხარდაჭერა**</u>

2022 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - 2409;

გარედან შემოსული - 308;

კანცელარიიდან გაიგზავნა - 250 წერილი.

რეგისტრაციაში გატარდა: ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 21 ბრძანება;

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - 103 ბრძანება.

პირადი შემადგენლობის შესახებ (03-01) – 81 ბრძანება;

რეგისტრაციაში გატარდა - 531 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

საფოსტო გზავნილის რაოდენობა - 49.

სასამართლო დავები:

2022 წლის 22 ივლისს გამოცხადდა შორენა ღლონტიის საქმეზე გადაწყვეტილება:

1.მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 28 თებერვლის ბრძანება შორენა ღლონტის ახალი ამბების სამსახურის უფროსის პოზიციიდან გათავისუფლების შესახებ ბათილად იქნა ცნობილი - იმავე თანამდებობაზე, ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენაზე უარი ეთქვა, მაუწყებელს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა 20 000 ლარის ოდენობით.

2. ბათილად იქნა ცნობილი მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 02 ივნისის ბრძანება შორენა ღლონტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. უარი ეთქვა მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის ბრძანბების (შრომითი ურთიერთობის ვადის განსაზღვრა) ბათილად ცნობაზე (სასამართლოდ დაადგინა, რომ შრომითი ხელშეკრულება იყო 3 თვის ვადით დადებული), იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენაზე უარი ერთქვა. მაუწყებელს დაეკისრა 2020 წლის 02 ივნისიდან 22 ივლისამდე პერიოდისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. ამ ნაწილში გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

3. მაუწყებელს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 975 ლარის ოდენობით. წარდგენილია სააპელაციო საჩივარი. წარდგენილია კერძო საჩივარი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ გადაწყვეტილების/განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2. ხელშეკრულებები

ა) გაფორმდა იჯარის 4 (ოთხი) ხელშეკრულება, მათ შორის, აუქციონის ფორმით იჯარით, 15(თხუთმეტი) წლის ვადით გაიცა მაუწყებლის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება მდებარე ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. # 31;

ბ) გაფორმდა 10 (ათი) ხელშეკრულება სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების შესახებ;

გ) პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმდა 11(თერთმეტი) ხელშეკრულება;

დ) გაფორმდა „სხვა ტიპის“ 1(ერთი) ხელშეკრულება (ბარტერი).

3. ბრძანებები

ა) სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭების შესახებ გამოიცა 10 (ათი) ბრძანება;

ბ) კომერციულ ანგარიშზე თანხის გადატანის შესახებ გამოიცა 4(ოთხი) ბრძანება;

გ) დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში გამოიცა 5(ხუთი) ბრძანება.

დ) სხვადასხვა საორგანიზაციო ტიპის ბრძანება („ადმინისტრაციულსამეურნეო“) – 31 (ოცდათერთმეტი) ბრძანება;

ე) ძირითადი საქმიანობის შეხსახებ 9 (ცხრა) ბრძანება, მათ შორის, ბრძანებით ცვლილება შევიდა საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის დებულებაში - შეიქმნა დოკუმენტური ფილმების სტუდია.

4. თვითრეგულირება

ა) მაუწყებელმა განიხილა მოქალაქე გია ქარცივაძის საჩივარი საინფორმაციო გამოშვება „მთავარში“ გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით. არც თავდაპირველი და არც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ბ) მაუწყებელმა განიხილა ააიპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“, ააიპ „სოლიდარობის თემის“ და სხვა მოქალქეების საჩივარი გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით. საჩივარი არ დაკმაყოფილდა

კვარტლის ტენდერები

2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მესამე კვარტალში გამოცხადდა 13 (ცამეტი) ტენდერი.

მათ შორის: გამოცხადებულია 2(ორი) ტენდერი, წინადადების მიღება დაწყებულია 1(ერთი) ტენდერზე, შერჩევა შეფასების ეტაპზეა 1 (ერთი) ტენდერი, უარყოფითი შედეგით დასრულდა 1(ერთი) ტენდერი, შეწყდა 1 (ერთი) ტენდერი,მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება 1(ერთი) ტენდერზე, არ შედგა - 3 (სამი), ხოლო 3 (სამი) შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

1. 16 (თექვსმეტი) გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;

2. 26 (ოცდაექვსი) გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;

3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 8 (რვა) ხელშეკრულება.

საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა. აღნიშნული ფუნქციის გასახორციელებლად სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. **ბრძანებები;**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა ბრძანებები პირადი შემადგენლობის შესახებ (დანიშვნა, გათავისუფლება, სტაჟირება, დეკრეტული შვებულება), ასევე მომზადდა მაუწყებლის დირექტორის ბრძანებები პირადი შემადგენლობის შესახებ (შვებულება, მივლინება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა) სულ - 288;

2. ხელშეკრულებები;

2022 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა - 13 (ცამეტი) შრომითი ხელშეკრულება; ასევე მომზადდა 20 (ოცი) შეთანხმება, რის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა შრომის ხელშეკრულებაში.

3. ზოგადი ინფორმაცია;

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული წერილები გაიგზავნა სხვადასხვა უწყებებში;

მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის მესამე კვარტალში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეიქმნა სტუდიების ახალი დიზაინი, გარემონტდა და ეთერში ჩაეშვა სტუდიები: საინფორმაციო, დილა, დიდი შესვენება, დარგობრივის ზუმ ზოლის სტუდია, თითების სტუდია. კონკრეტული გადაცემები.სტუდიებში დაიდგა მონიტორები სხვადასხვა დანიშნულების. სპეციალურად ამ მონიტორებისთვის დამზადდა ახალი ბეგრაუნდები, შესაბამასი ფორმატის დიზაინით. წამყვანებისთვის შევიძინეთ სკამები. დაემატა მეოთხე კამერა(ახალი რაკურსი) აგვისტოს 20 დან ტექნიკურ ჯგუფთან ერთად დავიწყეთ საეთეროს გადაირაღება. საინფორმაციო გამოშვება მიმდინარეობდა დაიჯესტებით. საეთეროში გამოვცვალეთ ხმის მიქშერი. დავამონტაჟეთ yamaha CL 5 . 64 არხიანი. პარალელურად იმართებოდა ტრენინგები ხმის რეჟისორებისთვის. კარგი იქნება ხმის კონსოლის დამატება.

ხმაურიანი აპარატურა განვაცალკევეთ საეთეროსგან. მოეწყო ინჟინრებისთვის ახალი სამუშაო პოსტი. შახტებიდან ამოღებული იქნა ძველი და გამოიცვალა ახალი კაბელით. აქვე, სააპარატოში გამოვცვალეთ ტელევიზორები,შეიცვალა ტიტრის ოპერატორის სამუშაო მაგიდა. ავიყვანეთ ახალი ტიტრის ოპერატორი. მოძრავი სატელევიზიო სადგურის რეჟისორი დავახმარეთ სტუდიას, შუა დღის გადაცემის ეთერში გასაყვანად.12 სექტემბრიდან ახალი სეზონს შევხვდით მობილიზებული, დატრენინგებული, დაემატა გადაცემა ,, გზამკვლევი“ წამყვანი სტუდიიდან პირდაპირი ეთერით ვიდეო პულტ გურამექსი პროგრამულად განახლდა, ჩაიწერა ახალი ფუნქციები. ველოდებით ტრენერებს.თითების სტუდია საეთეროს სააპარატოს დავუკავშირდა ოპტიკურ ბოჩკოვანი კაბელებით. დაემატა სუფლიორის ახალი წერტილი. აქტიურად მიმდინარეობს ჩაწერები თითების სტუდიაში. გადაცემებს ,,მსხალი“ და ,, მუზ ოუნი'' მოძრავი ტელევიზით მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიებების პირდაპირები თუ ჩაწერები.

<u>„შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა</u>

2022 წლის მესამე კვარტლის ანგარიში
დირექტორი გიორგი კოხრეიძე

<u>საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები</u>

მაუწყებელი ღია ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის. განაგრძობს თანამშრომლობას „ამერიკის ხმასთან“.

<u>მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა</u>

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკურ სამსახურში განხორციელებული საქმიანობის ჩამონათვალი.

სტუდიებისა და მსს - ის განყოფილება

1. შემოქმედების და ახალი ამბების სამსახურის განათებას, პეტლიჩკებს, შტატივებს და კამერებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები;

2. განვახორციელეთ პროფილაქტიკური სამუშაოები ცენტრალურ სააპარატოში, გამშვებ სააპარატოში და სტუდიებში;

3. ცენტრალურ სააპარატოში შეიცვალა ხმის პულტი, დამონტაჟდა ახალი პროფესიონალური ციფრული 2x32 არხიანი პულტი;

4. შეიცვალა დიზაინი სხვადასხვა სტუდიებში, დამონტაჟდა ლედ მონიტორები;

5. გაკეთდა ახალი სტუდია თავის სააპარატოთი (სტუდია #3);

6. შევიძინეთ: სტუდიური კრანი; ციფრული ვიდეორეკორდერი; ტელევიზორები; სტუდიური დინამიკები; კამერის აკუმულატორები თავისი დამტენით; 2 ცალი Live U600 თავისი სერვერითა და განახლებული პროგრამებით;

7. მომზადებულია პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შენობის შეკეთებაზე;

8. თბილისის ბიუროს ახალი შენობისათვის გავიყვანეთ ცენტრალური კვების კაბელი;

9. გამოცხადებულია ტენდერი - კამერების შეძენაზე, საფრენი აპარატის „დრონი“-ს შეძენაზე.

10.მოკვლევები დასრულებულია და ტექნიკური პირობა მზადაა კონვერტორების, სტუდიური განათების, მეხსიერების ბარათებისა და მიკროფონებისა და აქსესუარების ტენდერით შესაძენად.

11. ცენტრალური სააპარატოს ვიდეო პულტში დაინსტალირდა ახალი თანამედროვე პროგრამა.

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). FM გადამცემ სადგურს და გადამცემ ანტენებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. რემონტი ჩაუტარდა ძალოვან ტრანსფორმატორს. პროფილაქტიკა ჩაუტარდა დენის უწყვეტ წყაროს. გადამცემი მუშაობს 104,5 მეგაჰერცის სიხშირეზე. ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურს. გამოიცვალა სატელიტური ანტენა და თავაკი. გამოიცვალა დაზიანებული

რესივერი. გადამცემი მუშაობს 106,1 მეგაჰრცის სიხშირეზე. შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები), პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. რემონტი ჩაუტარდა დაზიანებულ გადამცემ ანტენებს. გადამცემი მუშაობს 106,0 სიხშირით. შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს და გადამცემ ანტენებს. გამოიცვალა დაზიანებული რესივერი. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით. ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, გამოიცვალა სატელიტური ანტენა. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. გადამცემი მუშაობს 104,1 სიხშირით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ელ. გადამცემ ხაზზე. სადგური მუშაობს 96,1 სიხშირით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, გამოიცვალა სატელიტური რესივერი. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით. თბილისის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 90,1 სიხშირეზე. ლაგოდეხის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 90,7 სიხშირეზე. გორის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 94,1 სიხშირეზე. ქუთაისის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 99,3 სიხშირეზე. ზუგდიდის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 97,1 სიხშირეზე. ფოთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 90,7 სიხშირეზე. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მოთხოვნის შესაბამისად უნდა გამოგვიყოს სიხშირე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოჭოს აჭარის რადიოს გადამცემი სადგურისათვის. გამოცხადდა ტენდერი ტალღა გამტარი კაბელის და სატელიტური რესივერების შესაძენად.

<u>მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი</u>

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის ფეისბუქის გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში.

<u>სამომავლო რისკები და გამოწვევები</u>

<u>გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის</u>

- მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმა;
- საახალწლო გადაცემის ჩაწერა;
- ყოველდღიური გადაცემა ეკონომიკის ბადეში ჩაშვება;
- თბილისის ბიუროში საორგანიზაციო ცვლილებების განხორციელება;
- მომავალი წლის პროექტების შესახებ კონკურსების გამოცხადება;
- ამა წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტექნიკის შესყიდვა;
- ევროინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებული პროექტის ჩაშვება;
- სატელევიზიო ტიხრების ჩაშვება ზურაბ გორგილაძის ლექსებიდან ამონარიდების მიხედვით;'
- პროექტი ამინდის შესახებ სავარაუდო დასახელებით „დარი სად არის კობა ფარტენაძესთან ერთად".
- საინფორმაციო გადაცემიდან სპორტის გამოყოფა და გადაცემის სახით მაყურებლისათვის მიწოდება.
- რადიო გადაცემა კინობლოგის ბადეში ჩასმა.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2022 წლის მესამე კვარტალის

ფინანსური ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 **წლის მესამე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 3.197.950,00 **ლარს** (9 **თვის მდგომარეობით** 10.007.480,00 **ლარი**), **ფაქტიურად დაიხარჯა** 2.744.084,26 **ლარი** (9 **თვის მდგომარეობით** 8.678.749,00 **ლარი**). **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 85,81%-**ს**, **ხოლო** 9 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 86,72%-**ს**.

მათ შორის:

- **სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან** 2022 **წლის მესამე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 3.165.950,00 **ლარს** (9 **თვის მდგომარეობით** 9.882.480,00 **ლარი**), **ფაქტიურად დაიხარჯა** 2.725.835,35 **ლარი**. (9 **თვის მდგომარეობით** 8.611.846,39 **ლარი**). **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 86,10%-**ს**, **ხოლო** 9 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 87,14%-**ს**.

- **ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან** 2022 **წლის მესამე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 32.000,00 **ლარს** (9 **თვის მდგომარეობით** 125.000,00 **ლარი**), **გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს** 18.248,91 **ლარს** (9 **თვის მდგომარეობით** 66.902,61 **ლარი**). **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 57,03%-**ს**, **ხოლო** 9 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 53,52%-**ს**.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2022 **წლის მესამე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით** (**იხ. დანართი** N1).

2022 **წლის მესამე კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული** (**დარიცხული**) **შემოსავლების თანხა შეადგენს** 36.640,86 **ლარი**.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (**დარიცხული**) **შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით** (**იხ. დანართი** N2).

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის III კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	სულ	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	სულ
სულ	906.498,07	1.033.276,24	786.061,04	2.725.835,35	6.544,35	5.680,00	6.024,56	18.248,91
მრჩეველთა საბჭო	25.885,69	25.421,72	28.242,66	79.550,07	63,00	65,10	65,10	193,20
მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი	20.470,00	20.470,00	20.470,00	61.410,00	0,00	0,00	0,00	0,00
მრჩეველთა საბჭოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	4.750,00	4.750,00	4.750,00	14.250,00	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	490,00	30,00	2.855,00	3.375,00	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური სატელეფონო მომსახურება	175,69	171,72	167,66	515,07	0,00	0,00	0,00	0,00
კანცელარიის პროგრამული მომსახურების ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	63,00	65,10	65,10	193,20
ადმინისტრაცია	265.621,20	279.053,75	271.754,46	816.429,41	1.197,00	1.592,90	609,20	3.399,10
თანამდებობრივი სარგო	140.193,69	126.662,86	131.983,18	398.839,73	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	50.621,40	50.004,78	50.815,00	151.441,18	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (შტატი)	0,00	9.245,06	6.633,33	15.878,39	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე)	990,71	380,43	2.565,00	3.936,14	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	390,00	135,00	515,00	1.040,00	0,00	0,00	0,00	0,00
თანამშრომელთა დაზღვევა	20.155,00	10.025,00	9.990,00	40.170,00	0,00	0,00	0,00	0,00
ბეჭდვითი მომსახურება (სამსახ. მოწმობები (ბეიჯი), ტურნიკეტის ბარათები, სერტიფიკატები, სავიზიტო ბარათები და სხვა)	900,00	0,00	0,00	900,00	0,00	0,00	0,00	0,00
მარაგების აღრიცხვის და კანცელარიის კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯები	0,00	0,00	0,00	0,00	297,00	312,90	316,20	926,10
ჟურნალ-გაზეთების შეძენა	0,00	9,60	4,80	14,40	0,00	0,00	0,00	0,00
საკანონმდებლო მაცნეს ბაზის განახლება	0,00	0,00	750,00	750,00	0,00	0,00	0,00	0,00
კომპიუტერული ტექნიკა, მარაგები და მიმდინარე რემონტი	9.830,58	0,00	0,00	9.830,58	0,00	0,00	0,00	0,00
მცირეფასიანი და ძირითადი აქტივის შეძენა (წყლის გამაცხელებელი, მტვერსასრუტი და სხვა)	0,00	0,00	290,00	290,00	0,00	0,00	0,00	0,00
საოფისე ავეჯის შეძენა	0,00	0,00	1.236,00	1.236,00	0,00	0,00	0,00	0,00
გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	265,00	265,00
სამეურნეო საქონლის და სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	30,00	1.140,00	2.955,40	4.125,40	0,00	0,00	0,00	0,00
ელ სადენი და კაბელის აქსესუარების შეძენა	0,00	0,00	1.635,00	1.635,00	0,00	0,00	0,00	0,00
კოვიდტესტების ლაბორატორიული მომსახურება, სანიტარულ-ჰიგიენური და საწმენდი საშუალებები	0,00	0,00	464,00	464,00	0,00	0,00	28,00	28,00
ფარმაცევტული პროდუქტები, სადეზინფექციო საშუალებები და შენობების სადეზინფექციო სამუშაოები	330,00	0,00	0,00	330,00	0,00	0,00	0,00	0,00
ქსელის კაბელი, აქსესუარები და კონექტორები	2.646,00	0,00	0,00	2.646,00	200,00	0,00	0,00	200,00
ავეჯის, კონდიციონერების შეკეთება და ტექ. მომსახურება	0,00	0,00	4.515,00	4.515,00	0,00	0,00	0,00	0,00
შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება	669,57	577,66	230,85	1.478,08	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური ტელეფონების ხარჯი	2.358,86	2.192,28	2.058,46	6.609,60	0,00	0,00	0,00	0,00
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი	2.630,00	2.630,00	2.630,00	7.890,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტიგი	0,00	1.500,00	1.500,00	3.000,00	0,00	0,00	0,00	0,00
საფოსტო მომსახურება	53,68	45,04	83,36	182,08	0,00	0,00	0,00	0,00
ელ.ენერგიის ხარჯი (ანძების ჩათვლით)	8.255,99	10.801,49	12.158,63	31.216,11	0,00	0,00	0,00	0,00
წყალის და წყალანირების ხარჯი	663,04	438,18	138,37	1.239,59	0,00	0,00	0,00	0,00
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერაციზაციის ხარჯი	298,00	298,00	298,00	894,00	0,00	0,00	0,00	0,00
საკაბელო სატელევიზიო მომსახურება	88,00	88,00	88,00	264,00	0,00	0,00	0,00	0,00
საკორესპოდენტო ბიურო(ებ)ს ოფისის დაქირავების ხარჯი	500,00	2.200,00	500,00	3.200,00	0,00	0,00	0,00	0,00
საწვავი (ავტომანქანებზე)	21.258,35	21.605,60	16.699,51	59.563,46	0,00	0,00	0,00	0,00
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	0,00	2.868,08	1.486,00	4.354,08	0,00	0,00	0,00	0,00
ტრანსპორტის რეცხვის ხარჯი	0,00	875,00	0,00	875,00	0,00	0,00	0,00	0,00
GPS-ის მოწყობილობის მეშვეობით ავტომობილების კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურება	416,53	400,17	414,19	1.230,89	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი/მანქანის აკუმულატორები/ზეთები/ფილტრები	169,90	83,30	831,40	1.084,60	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების დაზღვევა	277,44	286,68	286,68	850,80	0,00	0,00	0,00	0,00
სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი	735,16	201,84	240,00	1.177,00	0,00	0,00	0,00	0,00
აუდიტორული მომსახურება	0,00	0,00	0,00	0,00	700,00	1.280,00	0,00	1.980,00
შენობის დაცვა (ორბელიანის ქუჩა)	1.032,50	1.032,50	1.032,50	3.097,50	0,00	0,00	0,00	0,00
ადმინისტრაციული შენობის დაცვა	0,00	33.200,00	16.600,00	49.800,00	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (სატელეფონო მომსახურება)	13,20	12,40	12,40	38,00	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელ. მომსახურება)	113,60	114,80	114,40	342,80	0,00	0,00	0,00	0,00
ახალი ამბები	207.848,12	131.813,11	135.571,64	475.232,87	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	129.974,94	129.662,24	131.108,68	390.745,86	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	1.047,62	860,87	942,96	2.851,45	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	1.593,65	1.290,00	3.520,00	6.403,65	0,00	0,00	0,00	0,00
სტუდი(ებ)ის გაფორმება-განახლების სამუშაოები/ნაშთიდან	75.231,91	0,00	0,00	75.231,91	0,00	0,00	0,00	0,00

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	სულ	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	სულ
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	318.184,40	255.931,72	238.562,28	812.678,40	3.316,24	1.771,80	2.342,77	7.430,81
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	208.456,28	208.271,75	215.598,10	632.326,13	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	1.206,19	532,61	2.004,55	3.743,35	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	16.555,81	7.608,42	13.633,30	37.797,53	0,00	0,00	0,00	0,00
გარეწარმოების გადაცემების შესყიდვა	0,00	463,00	2.150,00	2.613,00	0,00	0,00	0,00	0,00
შეკვეთით ნაბეჭდი მასალის, ბანერების ბეჭდვა-დამზადება (ლაითბოქსების ვიზუალის/ფირების ბეჭდვა, ბრენდირება	632,38	0,00	0,00	632,38	0,00	0,00	0,00	0,00
სარეკლამო ბანერის განთავსება (ბილბორდი)	585,78	6.005,70	2.178,38	8.769,86	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი	0,00	0,00	0,00	0,00	3.030,98	856,45	299,00	4.186,43
სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	273,08	300,00	0,00	573,08
ნამზადების შეძენა	0,00	0,00	0,00	0,00	12,18	615,35	2.043,77	2.671,30
სატელევიზიო რვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა/გახმოვანება	68.050,00	11.050,00	0,00	79.100,00	0,00	0,00	0,00	0,00
სპორტული ღონისძიების ტრანსლირების მომსახურება	20.055,00	19.285,00	0,00	39.340,00	0,00	0,00	0,00	0,00
საავტორო უფლებების ჰონორარი	2.642,96	2.715,24	2.997,95	8.356,15	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	37.791,87	42.835,25	39.936,82	120.563,94	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	37.791,87	35.986,68	37.446,82	111.225,37	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	0,00	4.388,57	0,00	4.388,57	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	0,00	60,00	90,00	150,00	0,00	0,00	0,00	0,00
გარეწარმოების გადაცემების შესყიდვა	0,00	2.400,00	2.400,00	4.800,00	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკური უზრუნველყოფა	46.443,44	293.508,73	67.400,47	407.352,64	0,00	0,00	0,00	0,00
ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური	0,00	40.876,00	20.438,00	61.314,00	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოსიგნალის სარელეო ხაზით გავრცელების საფასური	0,00	1.740,00	870,00	2.610,00	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოგადამცემების სადგურების განთავსების იჯარა	0,00	7.688,00	3.844,00	11.532,00	0,00	0,00	0,00	0,00
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი)	22.968,00	21.742,40	22.639,20	67.349,60	0,00	0,00	0,00	0,00
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	2.552,00	2.415,82	2.515,47	7.483,29	0,00	0,00	0,00	0,00
პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები (აზერსატი)	0,00	1.077,94	0,00	1.077,94	0,00	0,00	0,00	0,00
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	0,00	119,77	0,00	119,77	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის (მთაწმინდა) მომსახურება	250,00	250,00	250,00	750,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის HD გავრცელება სილქტივის საკაბელო ტელევიზიის ქსელში	250,00	250,00	250,00	750,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო ტექნიკის რემონტის ხარჯი	0,00	0,00	770,00	770,00	0,00	0,00	0,00	0,00
ციფრული მიმღებ-გადამცემების შეძენა	0,00	205.360,00	0,00	205.360,00	0,00	0,00	0,00	0,00
ვიდეოკამერისა და განათების აკუმულატორები	0,00	0,00	15.823,80	15.823,80	0,00	0,00	0,00	0,00
ტელევიზორი (სტუდიებისათვის)	11.151,00	0,00	0,00	11.151,00	0,00	0,00	0,00	0,00
მრავალფუნქციური პრინტერები, სკანერები	5.095,24	0,00	0,00	5.095,24	0,00	0,00	0,00	0,00
პროფესიონალური დინამიკების შეძენა	0,00	11.988,80	0,00	11.988,80	0,00	0,00	0,00	0,00
კომპიუტერული ტექნიკა, ბარათის წამკითხველები	4.177,20	0,00	0,00	4.177,20	0,00	0,00	0,00	0,00
სხვა გადასახდელები	4.723,35	4.711,96	4.592,71	14.028,02	1.968,11	2.250,20	3.007,49	7.225,80
არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	4.593,60	4.582,21	4.527,84	13.703,65	70,56	27,63	187,00	285,19
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები	0,00	0,00	0,00	0,00	1.897,55	2.222,57	2.820,49	6.940,61
დასუფთავების მოსაკრებელი	129,75	129,75	64,87	324,37	0,00	0,00	0,00	0,00

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის III კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

დასახელება	თანხა
შემოსავლები სატელევიზიო ეთერში ბანერის, პროდუქტის და სასპონსორო ტიხრების განთავსების მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	2.500,00
შემოსავლები კომერციული რეკლამიდან (დღგ-ს ჩათვლით)	14.093,33
შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	19.101,53
შემოსავლები გაცვლითი ოპერაცი(ებ)იდან/ბარტერი (დღგ-ს ჩათვლით)	946,00
სულ	36.640,86